ჰოლოკოსტის სწავლება

მეოთხე ნაწილი

გადამრჩენები და გადარჩენილები

მოამზადა ნინო გვარამაძემ

ინდივიდუალური ისტორიები ეხმარება მოსწავლეებს მოვლენების დანახვაში არა პოლიტიკური, არამედ ადამიანური პოზიციიდან. ჰოლოკოსტს გადარჩენილი ადამიანები, დიდწილად, იმ ადამიანების წყალობით გადარჩნენ, ვინც საკუთარი რისკის ფასად ცდილობდა მათ დახმარებას. ინდივიდუალური ისტორიების გაცნობა ეხმარება მოსწავლეებს ემპათიის განვითარებაში. შეუძლებელია, მოსწავლეებმა იგივე განიცადონ, რასაც მსხვერპლი განიცდიდა, მაგრამ თვითმხილველის/მსხვერპლის მოყოლილი ისტორია უფრო ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მათზე, ვიდრე ისტორიის წიგნში წაკითხული ფაქტი.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტების ბმულები და შესაბამისი ქართული ტექსტები. აუცილებელია, მოსწავლეებმა ნახონ ვიდეოჩანაწერი, თუნდაც არ ესმოდეთ ტექსტი. ამ დანაკლისს ქვემოთ მოცემული ქრთული ტექსტი შეუვსებს, ემოციას, კი ვიდეოჩანაწერის ნახვით ეზიარებიან.

ეს მასალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უცხო ენასთან ინტეგრირებული გაკვეთილისთვის, სადაც ინგლისურის მასწავლებელი საუბრის მოსმენა-გაგებაზე იმუშავებს.

რეკომენდებულია ამ ვიდეოჩანაწერების მოცემული მიმდევრობით ნახვა და ყოველი ჩანაწერის ნახვის შემდეგ დისკუსიის მოწყობა.

ამ რესურსების გამოყენების მიზანია ჰოლოკოსტის მსხვერპლისადმი ემპათიის გაღვიძება მოსწავლეებში.

1. ამონარიდი ჰოლოკოსტის მსხვერპლ ევა სლონიმთან ინტერვიუდან

Watch | IWitness (usc.edu)

ქვემოთ მოყვანილია ვიდეოჩანაწერის ტექსტის ქართული თარგმანი.

- დამიძახეს და წამიყვანეს ლაბორატორიაში.
- თქვენი ნომრით?
- დიახ, ჩემი ნომრით. წამიყვანეს ლაბორატორიაში. მე არ ვიცოდი რა იყო ლაბორატორია. ის არ ჰგავდა ბანაკს. დამაწვინეს მუცელზე. გამიკეთეს ნემსი მუცელში. სხვა დროს გამიკეთეს ნემსი ქვემოთ.
- მენგელეს[1] მიერ?
- დარწმუნებული ვარ მენგელეს მიერ.
- ხომ არ შეგიძლიათ აღწეროთ მისი თვალების ან თმის ფერი?
- თვალები ჰქონდა ყავისფერი, თმა მუქი.

[1] იოზეფ მენგელე - ნაცისტური გერმანიის სს-ის ოფიცერი და ექიმი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. სისასტიკის გამო ცნობილია მეტსახელით „სიკვდილის ანგელოზი“

- იცოდით ვინ იყო?
- ვიცოდი.
- მას სიკვდილის ანგელოზს ეძახდნენ. ხანდახან ეშმაკად მოიხსენიებდნენ. ერთხელ როცა წამიყვანეს სახეში ვუყურებდი, რადგან არ ვიწექი მუცელზე. ვენაში გამიკეტა ნემსი. დამეწყო კრუნჩხვა მუცელში.
- მაშინვე, თუ შემდგომ?
- როცა დავბრუნდი ბანაკში. ვენაში გაკეთებული ნემსის შემდეგ ძალიან დამცხა. ცხელი ჰაერი გამომდიოდა პირიდან.
- ჰქონდა ინექციას რაიმე სუნი?
- ჰქონდა, მაგრამ ვერ აღვწერ. ომის შემდეგ ბევრი ჩემი პრობლემა, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო ამ ინექციებით. მე და მართას (ევას დას) ორივეს გვქონდა კრუნჩხვები მუცელში, სპონტანური აბორტები. ორივეს დაგვჭირდა ნემსები და აბები ორსულობის შესანარჩუნებლად. ორივეს ერთნაირი სიმპტომები გვაქვს. დღემდე გვაქვს კრუნჩხვები.
- ერთნაირი რაოდენობის ნემსები გაგიკეთეს?
- მე გამიკეთეს სამი თუ ოთხი.
- ხომ არ იცით, ან მიხვდით რას ინექციებს გიკეთებდნენ ბანაკში?
- არ ვიცი, ალბათ, ჰორმონებს.
- ჰქონდა თუ არა სითხეს ფერი ან სუნი?
- მე არ მინახავს სითხე. მხოლოდ როცა ვენაში შემიყვანეს დამეწყო სიცხის შეგრძნება. სუნი წააგავდა იმ ინექციის სუნს, რომელსაც ორსულობის დროს მიკეთებდნენ.
- კიდევ რამდენ ბავშვს გაუკეთეს ნემსები?
- ბევრს.

სადისკუსიო კითხვები:

- რატომ უკეთებდნენ ბავშვებს ნემსებს?
- რას გრძნობდა (ფიზიკურად თუ მორალურად) ევა როცა ნემსებს უკეთებდნენ?
- რა იცით სამედიცინო ექსპერიმენტების შესახებ?
- რას გრძნობს ევა მრავალი წლის შემდეგ?

2. ამონარიდი ჰოლოკოსტის მსხვერპლ ელენა ზელენსკის ინტერვიუდან

Watch | IWitness (usc.edu)

ქვემოთ მოყვანილია ვიდეოჩანაწერის ტექსტის ქართული თარგმანი.

1983 წელს არ მინდოდა გერმანიაში წასვლა. მთხოვეს, მაგრამ უარი ვთქვი. მაშინ მივიღე წერილი დოქტორ შნეიკაზეცისგან. მწერდა, რომ ეს ჩემი მოვალეობაა. მე არ შემეძლო მარტო წასვლა, ჩემი მეუღლე კი უკვე ცუდად იყო. მითხრეს, რომ ენდრიუს ხარჯებს დაფარავდნენ და ენდრიუ წამომყვა.

მეორე დღეს ჰააგის სასამართლოში მივედი და ფოიეში და კედელთან მდგომი კაცი დავინახე.

- ფრენსილს აქ რა უნდა? ვკითხე მოსამართლე კრამერს. - მან თარჯიმანი ქალი წარმომიდგინა. ფრენსილი კი მე პირველი დანახვისთანავე ვიცანი, ორმოცი წლის შემდეგ. საშინელება იყო სასამართლოზე, უამრავი შეკითხვა, 6 პროკურორი. ფრენსილს

ჰყავდა ადვოკატი. საშინელება იყო. ვიღაცამ თქვა, რომ ამ ადვოკატს სს-ის ფორმა რომ ეცვას, მათზე უკეთესი არაფრით იქნებოდაო, ისე სვამდა კითხვებს.

უცებ მოსამართლე მკითხა თუ საიდან ვიცოდი, რომ მესამე ბანაკში 27 კაცი იყო? რადგან აღვნიშნე, რომ ჩემი ძმა იქ დახვრიტეს. მე ვთქვი, არასდროს მითქვამს, რომ ვიცოდი რამდენი კაცი იყო. მხოლოდ ის ვიცოდი როდის დასაჯეს სიკვდილით.

- როგორ გახსოვთ როდის დასაჯეს?
- იცით, მახსოვს.

მაშინ მე გერმანულად ვკითხე მოსამართლეს:

- დედის დაბადების დღეს დაივიწყებ?
- არა.

მე ვუთხარი, რომ დედის დაბადების დღეზე, 27 ივნისს, სიკვდილით დასაჯეს ჩემი ძმა.

მათ ეს ყველაფერი ქაღალდზე ჰქონდათ. ყველაფერი ვთქვი. შემდეგ მე ვუთხარი მას, თქვენ ეს ყველაფერი გაქვთ ქაღალდზე, ფირზე. მე კი ვბერდები და თქვენ გინდათ, რომ დეტალებში გავიხსენო. მოსამართლემ ბოდიში მომიხადა.

მანამდე კიდევ ერთი რამ მოხდა. მან მკითხა ვინ ისროდა და მე ვუპასუხე, არ ვიცი არ დამინახავს, თავის გადასარჩენად გავრბოდი.

მათ ჰქონდათ სობიბორის[2] რუკა, იცით, როგორც მხატვრებს აქვთ, როგორც დაფა, მაგრამ დიდი რუკა. და მან რაღაც მომცა, იცი, რომ წავიდე და ვაჩვენო, სად იყო ეს ჯაგრისის ღობე. ჭიშკარს ჰგავდა, ძალიან ცოტა. და მე გადავხედე სობიბორის იმ რუკას. მე ვუთხარი, ეს არ არის სობიბორი. ეს არ მეჩვენება, რადგან ვიცი, სად იყო ლიანდაგი, ეს იყო მარცხნივ, ეს იყო მარჯვნივ, სად იყო ყაზარმები, სად იყო მესამე ბანაკი და ყველაფერი, მაგრამ ეს არ არის სობიბორი ტრანსკრიპტი მე ვუთხარი, ეს ყველაფერი ქაღალდზე, ფირზე გაქვს-მეთქი. და მე ვბერდები, ვბერდები, ვბერდები და გინდა, რომ ყველა დეტალი ჩემს თავში მქონდეს, როცა ეს ყველაფერი შავ-თეთრში გაქვს? მან ბოდიში მოიხადა. ტრანსკრიპტი მე ვუთხარი, მე ვირბინე ჩემი სიცოცხლისთვის. შემდეგ მათ ჰქონდათ სობიბორის რუკა, იცით, როგორც მხატვრებს აქვთ, როგორც დაფა, მაგრამ დიდი რუკა. მან მთხოვა რაღაცის ჩვენება, სად იყო ეს ბუჩქებიანი ღობე. ცოტათი ჰგავდა ჭიშკარს. მე გავხედე სობიბორის იმ რუკას. მე ვუთხარი, ეს არ არის სობიბორი. ეს არ მეჩვენება, რადგან ვიცი, სად იყო ლიანდაგი, ეს იყო მარცხნივ, ეს იყო მარჯვნივ, სად იყო ყაზარმები, სად იყო მესამე ბანაკი და ყველაფერი, მაგრამ ეს არ არის სობიბორი. მაშინ ის ჩამოვიდა თავის ადგილიდან და მითხრა, ძალიან ვწუხვარ, ვიღაცამ უკუღმა დაკიდა რუკა.

კითხვები დისკუსიისთვის:

- რატომ არ უნდოდა რეგინას ჰააგის სასამართლოზე წასვლა?
- რატომ არ არის მისი მონაყოლი თანმიმდევრული?

[2] სობიბორი - გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული სიკვდილის ბანაკი ოკუპირებულ პოლონეთში და მოქმედებდა 1942 წლის 15 მაისიდან 1943 წლის 15 ოქტომბრამდე, რომელშიც, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, დაიღუპა 170-დან 250 ათასამდე ებრაელი.

3. ამონარიდი სამხედრო პირის კურტ კლეინის ინტერვიუდან

Watch | IWitness (usc.edu)

7 მაისი იყო როცა ჩვენ ექიმებთან ერთად დავბრუნდით. მიმანიშნეს ქარხნის შენობაზე. მივუახლოვდი ჯიპით და გადმოვედი. დავინახე მოსიარულე ჩონჩხი, რომელიც ქანაობით მიდიოდა ეზოს შუაგულისკენ - წყლისკენ. საშინელი სანახავი იყო. ეზოს მეორე მხარეს დავინახე ახალგაზრდა ქალი. მივედი მასთან და ვკითხე ვინმე იყო მასთან ერთად თუ არა. რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ გერმანულად. მე ვკითხე სად იყვნენ დანარჩენები და მან მიპასუხა, რომ ისინი სიკვდილის მარშზე იყვნენ იმ წლის იანვრიდან მოყოლებული. მე ვთხოვე ეჩვენებინა ისინი ჩემთვის. ჩვენ შევედით შენობაში. მიახლოებითაც კი არ შეიძლება იმის აღწერა, რაც იქ დამხვდა. იატაკზე გაფანტული ქალები სიკვდილთან მიახლოებულ მდგომარეობაში. ძონძებში, საბნების გარეშე, საჭმლის გარეშე. ეს იყო ის, რის დავიწყებაც არასოდეს შეიძლება. ჩემთვისაც კი, რომელმაც ვიცოდი, იმ დროისთვის გერმანული ნაცისტური მენტალიტეტის მასშტაბები, ვიცოდი, რომ მე უნდა გავმკლავებოდი ყველაფერს, რა სიტუაციაშიც არ უნდა აღმოვჩენილიყავი, უაღრესად დამთრგუნველი იყო. ყველაზე დაუვიწყარი და ღირსშესანიშნავი, რაც მაშინ მოხდა, იყო ის, რომ ამ ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც შენობაში შემიყვანა, მთელ ამ სცენაზე ჟესტით მიმითითა და შემდეგი სიტყვები თქვა, „იყავი კეთილშობილი, მოწყალე და კეთილი“. ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ ამ მდგომარეობაში ქალს შეეძლო ეთქვა გერმანელი პოეტის გოეთეს სიტყვები ლექსიდან „ღვთაებრივი“. ამით მან ხაზი გაუსვა მწარე ირონიას იმაზე რაც ვნახეთ, იმაზე ეფექტურად, ვიდრე ეს შეეძლო რამეს გაეკეთებინა.

ჩვენმა ექიმებმა წაიყვანეს ავადმყოფები საველე ჰოსპიტალში, რომელიც წინა დღეს მქონდა ნანახი. ვიცოდი, რომ იქ უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ვინაიდან მეორე დღე იყო 8 მაისი, ომის ოფიციალურად დასრულების დღე, მქონდა უამრავი საქმე და მხოლოდ რამდენიმე დღის მერე მოვახერხე ჰოსპიტალში მისვლა. მე, რა თქმა უნდა, ყველას მდგომარეობა მაინტერესებდა, მაგრამ განსაკუთრებით ჩამებეჭდა გონებაში ის ახალგაზრდა ქალი. მინდოდა მისი პოვნა. ვიპოვე მისი საწოლი, გავიგე, რომ იყო ძალიან ცუდად, თუმცა თავს უკვე უკეთ გრძნობდა და ჩვენ ვისაუბრეთ.

ამიერიდან მე გამიჩნდა მოთხოვნილება გამეგო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ეს იქცა ჩემს საქმედ მომენახულებინა ყველა ავადმყოფი და განსაკუთრებით კი ის ქალი. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა უმჯობესდებოდა. ჩვენ რაც უფრო მეტს ვსაუბრობდით, მით უფრო მეტს ვპოულობდით ერთმანეთში ისეთ თვისებებს რაც მოგვწონდა. ბევრი რამ საერთო აღმოგვაჩნდა. ერთნაირი რაღაცეები მოგვწონდა ან არ მოგვწონდა. მოგვიანებით ეს ჩვენი ქორწინებით დასრულდა. მისი სახელია გერდა ვაისმანი.

კითხვები დისკუსიისთვის:

- რას გაუსვა ხაზი ახალგაზრდა ქალმა გოეთეს სიტყვების გახსენებით?
- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ბანაკის ბინადართ გაუმართლათ რომ გადარჩნენ? რატომ?

4. ამონარიდი ბერნარდ ბერმაკის, ამერიკელი სამხედრო პირის ინტერვიუდან

https://iwitness.usc.edu/watch?theme=41&clip=15&entry=0_mvdfagec

ჩვენ სასწრაფოდ წავედით გერმანიაში და ავსტრიის საზღვართან გავჩერდით მცირე საკონცენტრაციო ბანაკთან. ჩვენ ვიყავით პირველი ამერიკელი ჯარისკაცები. ეს არ იყო ბუხენვალდივით დიდი ბანაკი, მაგრამ როცა მიუახლოვდებოდი, სუნი იდგა. საშინელება იყო, სხეულების, მკვდარი დამპალი ხორცის სუნი და უმეტესობა აღარ იყო ცოცხალი. ზოგიერთი გადარჩენილი დახოხავდა მიწაზე რაიმე საჭმლის პოვნის იმედით. ცდილობდნენ ამოეთხარათ ფესვი, რამე ეჭამათ, უბრალოდ ცოცხალი შეენარჩუნებინათ კანი და ძვლები. გერმანელებმა იცოდნენ, რომ ჩვენ მივიდოდით და წინასწარ დატოვეს ბანაკი. ეს იყო სურათი, რომელიც არასდროს გავიწყდება ათასობით ადამიანით და ცხედრებით. ჩვენ წავედით ქალაქში, თონეს ფანჯრები ჩავტეხეთ, პურითა და სხვა პურეულით გავავსეთ ყველაფერი და ისევ იქ დავბრუნდით და ერთგვარად გავანაწილეთ. როცა პური დაინახეს, ზოგიერთი მათგანი, ვისაც სიარულიც კი არ შეეძლო უბრალოდ ჩვენკენ მიცოცავდა, რათა რამე ჩაედოთ პირში და ჩვენ ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. ვუთხარით ზოგიერთ ქალს, არ ჭამოთ ძალიან ბევრი, რომ ცუდად არ გახდეთ. შიმშილით სიკვდილის შიშის შემდეგ რაც შეეძლოთ ის ჩაიდეს პირში.

კითხვები დისკუსიისთვის:

- რა არის საერთო განმათავისუფლებლების ნაამბობში?
- რატომ ყვებიან განმათავისუფლებლები თავიანთ განცდებზე?
- იწვევს თუ არა ომის დროს ნანახი მათში ემოციას წლების შემდეგ?

5. ამონარიდი ჰოლოკოსტის მსხვერპლ ევა კორის ინტერვიუდან

Watch | IWitness (usc.edu)

ქვემოთ მოყვანილია ვიდეოჩანაწერის ტექსტის ქართული თარგმანი.

1992 წელს ჩემს დას განუვითარდა კიბო. ჰქონდა მეტასტაზები და სისხლი ხველებისას. შეერთებულ შტატებში ჩამოვიყვანე. ის მკურნალობდა IU სამედიცინო ცენტრში. მის სამკურნალოდ 20 ათასი დოლარი შევაგროვე და კიდევ 10 ათასი ვიზა ბარათზე დავდე. როგორც კი გადავიხადე ბოლო გადახდა, მან დამირეკა ისრაელიდან 93 წლის აპრილში, და მითხრა, რომ კიბო ხელახლა გაჩნდა მის ტვინში. მე ვთქვი, იქნებ ბოლო გადახდა არ უნდა გადამეხადა. იქნებ მაშინ ეს არ მომხდარიყო. ის გარდაიცვალა და მე გადავწყვიტე რაღაც გამეკეთებინა მის ხსოვნისთვის და ვთქვი, რომ წიგნის დაწერა მსურდა, ალბათ საუკეთესო საშუალება ჩემი ტკივილის დასაძლევად რადგან მე მქონდა კოშმარები. მე რეალურად ვგრძნობდი, როგორ მოკვდა. მეორე რაც მოხდა, იყო ის, რომ ისინი არ დაელოდნენ ჩემს ჩასვლას დაკრძალვაზე. მე მივიღე სატელეფონო შეტყობინება კვირას ნაშუადღევს, მითხრეს, ბოდიში, მაგრამ შენი და გარდაიცვალა. ტელეფონი ავიღე და დავურეკე, ვეუბნები ნივთები ჩავალაგე და ხვალისთვის ბილეთი ავიღე და კომენტარი - არა, არ შეგვიძლია. სასწრაფოდ უნდა დავმარხოთ. მე ვუთხარი, რომ ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი არასდროს დამიმარხავს. მინდა, რომ შევძლო მისი დაკრძალვა. არ დამელოდნენ, ამიტომ ბევრი კოშმარი დამესიზმრა. ისრაელში უნდა წავსულიყავი მისი საფლავის სანახავად და მათთან მშვიდობის დასამყარებლად. და მე ვთქვი, რომ რაღაც უნდა გავაკეთო მისი სხოვნისთვის. პარალელურად 1993 წელს ვმუშაობდი

კონფერენციაზე ბიოსამედიცინო ეთიკის საკითხებზე და პროფესორმა მითხრა: კონფერენციაზე ნაცისტი ექიმის მოყვანა არ შეიძლება? მე ვუთხარი: - რა? როგორ ფიქრობთ, ჯიბეში მაქვს ნაცისტი ექიმების მისამართები? შენ დაფიქრდი. გამახსენდა ერთ-ერთ ვიდეოში ნანახი ექიმი. დავუკავშირდი ამ ვიდეოს შემქმნელებს. ასე მე დავუკავშირდი დოქტორ მუნჩს, რომელიც მუშაობდა აუშვიცში. მე მინდოდა მიმეღო გარკვეული ინფორმაცია ექსპერიმენტის შესახებ, დოქტორ მენგელეს შესახებ. მე ის (ექ. მუნჩი) დავპატიჟე ჩვენთან ერთად. მე შევხვდი მას. ის იყო ძალიან მიმღები და ძალიან მზრუნველი. მე აღმოვაჩინე, რომ ის იყო ადამიანი, რაც ჩვენში არ იყო ჩვეულებრივი ამბავი SS-ისთვის, ახლაც კი. მე ვუთხარი, რომ მსურს ის ჩვენთან ერთად წამოვიდეს აუსვიცში გაზის კამერების არსებობის დასასაბუთებლადდ. იმდენი რევიზიონისტია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს ასე არ მოხდა. თავდაირველად მან თქვა არა, შემდეგ თქვა დიახ და ასე დავგეგმეთ მოგზაურობა ჩემი შვილებთანდა მის შვილებთან ერთად. როდესაც შარშან წავედი ისრაელში, ჩემი დის გარდაცვალების ერთი წლის თავზე, ისრაელელ ტყუპებს ველაპარაკე და მათ თქვეს:

- რა? SS ჩვენს 50 წლისთავზე?

- მაგრამ მე მინდა დავწერო მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაზის კამერების შესახებ და არა ჩვენს დღესასწაულზე.

- ის აპირებს ჩვენი ყურადღების ნაწილს წაგვართვას და ჩვენ არ გვინდა მისი გაზიარება.

- კარგი, არ გაგიმართლათ რადგან მე მას მაინც წავიყვან. ეს არის ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ.

მე მაშინ არ ვიცოდი, რომ მომინდებოდა მეპატიებინა მისთვის და მეპატიებინა ყველა ნაცისტისთვის. მაგრამ რაც უფრო მეტს ვფიქრობდი მასზე, მე ისუფრო მომწონდა. ის მზად იყო მოეცა ის რაც მინდოდა. რა მინდა დღეს ნაცისტისგან 50 წლის შემდეგ. მინდა მითხრან, რომ რაც გააკეთეს არასწორი იყო, რომ ბოდიშს გიხდით და მომაწოდონ ყველა ინფორმაცია, რაც აქვთ. და ის მზად იყო ეს ყველაფერი გაეკეთებინა, თქვა. მზად ვიქნებოდი ჯოზეფ მენგელეს პატიებისთვის? დიახ. მე მაინც მინდა ინფორმაცია და თუ იტყვის ბოდიში, ბიჭო, ეს ბონუსიც კი იქნება. და ერთხელ ხელი მოვაწერე ამნისტიას, ეს იყო ძალიან საინტერესო გრძნობა, რადგან ამან გამათავისუფლა ყოველგვარი ტკივილისგან. მე პირველად ვიყავი პასუხისმგებელი ჩემს გრძნობებზე სანახების მიმართ. აღარ მიწევდა ემოციებთან ბრძოლა. მე თავისუფალი ვიყავი ამ ყველაფრისგან და ეს მაძლევდა საშუალებას თავი ძალიან დიდსულოვნად მეგრძნო, მაგრამ ამავდროულად მაძლევდა წარსულის ყველა ტრავმისაგან გათავისუფლების შეგრძნებას, რომელიც მანამდე არასდროს განმიცდია. ეს არ ნიშნავს, რომ მე რამე დამავიწყდა.

კითხვები დისკუსიისთვის:

- რა არის საერთო ევა კორისა და ევა სლონიმის ნაამბობში?
- რატომ ამბობს ევა კორი, რომ არასდროს დაუკრძალავს ოჯახის წევრი?
- რა ემოციებს გრძნობთ ევა კორისგან?
- როგორ ადამიანად მიგაჩნიათ ევა კორი?
- როგორ ფიქრობთ, ყველა მსხვერპლს ასეთი რეაქცია ექნებოდა?

სხვა თვითმხილველთა მონათხრობი შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე iwitness.usc.edu